სატენდერო დოკუმენტაცია

Direct Debit Georgia

შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯია“ აცხადებს ელექტრონულ ტენდერს **ორგმინის დამცავი მინის დამზადება/მონტაჟის** შესყიდვაზე.

დაინტერესებულმა პირებმა წინადადება უნდა წარმოადგინონ შესყიდვების ელექტრონული სისტემის- www.tenders.ge საშუალებით

ტენდერი ჩატარდება ვაჭრობის გარეშე.

შესყიდვის ობიექტი:

პროდუქტი	რაოდენობა
ორგმინის დამცავი მინის დაზადება/მონტაჟი	16

შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა, ადგილი და მიწოდების პირობა, ზომა

- ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ ხელშეკრულების გაფორმებიდან 7 დღის ვადაში უნდა უზრუნველყოს სამუშაოს ჩატარება ტენდერში მითთებულ ყველა ლოკაციაზე.

ლოკაცია	რაოდ.
ქარელის იუსტიციის სახლი	2
ბორჯომის იუსტიციის სახლი	2
ლაგოდეხის იუსტიციის სახლი	2
ბოლნისის იუსტიციის სახლი	2
ყვარელის იუსტიციის სახლი	1
ონის იუსტიციის სახლი	1
ხონის იუსტიციის სახლი	1
მრტვილის იუსტიციის სახლი	1
სენაკის იუსტიციის სახლი	1
თიანეთის იუსტიციის სახლი	1
ყაზბეგის იუსტიციის სახლი	1
მესტიას იუსტიციის სახლი	1

- ორგმინის დამცავი მინების მიწოდება და მონტაჟი უნდა განხორციელდეს 18 საათის შემდეგ წინასწარ შეთანხმებით.
- ორგმინის ზომა - დანართი N 4 (მოთხოვნილი პროდუქტის ფოტო)
    - სიმაღლე 60 სმ.
    - სიგრძე - 80 სმ.
    - მარჯვენა გვერდის სიღრმე - 17 სმ.
    - მარცხენა გვერდის სიღრმე - 17 სმ.

- o სარკმელის სიმაღლე - 5 სმ.
- o სარკმელი სიგანე - 25 სმ.

სატენდერო პირობები

ტენდერში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტმა საჭიროა სისტემაში ატვირთოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული შემდეგი დოკუმენტაცია (PDF ფორმატის ფაილები):

- ✓ **დანართი N1**- კომპანიის რეკვიზიტები;
- ✓ **დანართი N2**- ფასების ცხრილი
  - ფასები დაფიქსირებული უნდა იყოს ლარში, დღგ-ს და კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით;
  - ღირებულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს პროდუქციის ადგილზე მოწოდება;
- ✓ **დანართი N3**- განხორციელებული პროექტების და შესრულებული სამუშაოების ჩამონათვალი;

ტენდერის მსვლელობის დროს ტექნიკურ და ტენდერის პროცესთან დაკავშირებით კითხვებზე დაუკავშირდით:

ლელა ტყეშელაშვილი - +995 599 27 87 97; ltkeshelashvili@ddg.ge

შემოთავაზების მიღების ბოლო ვადაა 02/11/2020 15:00 საათი

- ტენდერში გამარჯვების კრიტერიუმია-ღირებულება და ხარისხი;

- განფასებაში შეცდომის არსებობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ერთეულის ფასს;

- სატენდერო შემოთავაზებაში და ელექტრონულად დაფიქსირებულ ფასთა ცდომილების (სხვაობის) შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ელექტრონულად დაფიქსირებულ ფასს;

- გამარჯვებულად მიიჩნევა და ხელშეკრულება დაიდება იმ მონაწილესთან, რომელიც წარმოადგენს უკეთეს ფასს და დააკმაყოფილებს სატენდერო ტექნიკურ მოთხოვნებს;

- ავანსის მოთხოვნის შემთხვევაში დამკვეთი უფლებამოსილია მოითხოვოს საბანკო გარანტია ავანსად გასაცემი თანხის ოდენობით, ასევე შემოსავლების სამსახურიდან გაცემული შედარების აქტი, რომელშიც არ უნდა ისახებოდეს დავალიანება.

- მომწოდებლის მხრიდან შესაძლებელია მოხდეს დასაბუთებული პრეტენზიის წარდგენა 3 დღის ვადაში. ვადის ათვლა ხორციელდება მომწოდებლისთვის იმ ინფორმაციის მიწოდების დღიდან, რომელსაც შეეხება პრეტენზია.

- დამკვეთის მიერ შესაძლებელია შეწყდეს ტენდერი, შესაბამისი მიზეზების არსებობის შემთხვევაში, რაზეც აუცილებლად ინფორმირებული იქნება ყველა მონაწილე; ასევე დამკვეთი იტოვებს უფლებას ტენდერი სცნოს ანულირებულად თუ ტენდერში მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ ერთი კომპანია;

- სხვა დანარჩენი პირობები, შემდგომში გამყიდველსა და მყიდველს შორის გათვალისწინებულ იქნება ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულებაში.

მადლობა დაინტერესებისთვის.

გისურვებთ წარმატებას.